ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1722/5

ქ. თბილისი 20 თებერვალი 2019წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოქმედებითი საქართველო (შემდგომში „შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ანა რიაბოშენკოს** სახით და მეორეს მხრივ შპს "კონტური" წარმოდგენილი მისი დირექტორის **ელინა კოსირატის** სახით, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც მხარეები, ვხელმძღვანელობთ რა სსიპ შემოქმედებით საქართველოსა და ისთ ანგლიას უნივერსიტეტის (UEA) შორის 2018 წლის 05 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების **№O207237** ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის **მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის,** ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების, მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის და **საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით** ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"** (შემდგომში "ხელშეკრულება'') – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 **„ხელშეკრულების ღირებულება"** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.3 **„დღე", „კვირა", „თვე"** – კალენდარული დღე ან/და სამუშაო დღე, კალენდარული კვირა, კალენდარული თვე.

1.4 ,,**შემსყიდველი"** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 **„მიმწოდებელი"** – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 **„საქონელი"** – ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 **„ინსპექტირება"** – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ სარეკლამო მასალების შესყიდვა

2.2 შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	აღწერილობა	საზომი ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	თანხა	CPV
1	წებვადი სტიკერი	ცალმხრივი ბეჭდვა, ზომა: D4სმ	ცალი	500	0.052	26	79800000

2	საწერი კალამი	ბურთულიანი კალამი dartsy, წვერი: 0.5მმ (250 თეთრი; 250 შავი), წარწერა კალამაზე: CREATIVE SPARK ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს RE-CONCEPTION, შავ კალამზე წარწერა თეთრად, თეთრ კალამზე წარწერა შავად, ტექსტი ერთ ხაზზე.	ცალი	500	1.13	565	30192000
3	RollUp ბანერი	ცალმხრივი ბეჭდვა, ზომა: 80x200	ცალი	1	200.00	200	39294100
4	ბლოკნოტი	ზომა: 115x175მმ, გვერდების რაოდენობა: 50, შიგთავსის ქაღალდი: ოფსეტური, 80გრ. შიგთავსის ბეჭდვა: 1+0, გარეკანის ქაღალდი: ბრისტოლი, 300 გრ. გარეკანის ბეჭდვა (ორივე ყდა): ფერადი (4+0) + გლუვი ლამინაცია (1+0)	ცალი	200	2.50	500	79800000
სულ ჯამი:						**1291**	

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1291 (ათას ორას ოთხმოცდათერთმეტი)** ლარს,

3.3 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.2 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოასწოროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ხარვეზი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობისა და ფორმის შესაბამისად.

4.6 საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

4.7 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი, ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველს ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე უნდა მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, სათანადოდ შეფუთული და სრული დოკუმენტაციის თანხლებით წარმოდგენილი საქონელი.

5.2 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება _ ჩაბარების აქტი და სხვ.) სრული მოცულობით გაფორმების შემდეგ.

5.3 საქონლის მიწოდებამდე, გაფუჭებაზე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შესაძლო რისკებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო მიწოდების შემდეგ აღნიშნული ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდება **განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2019 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.**

5.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქ. კორპ. №28.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წყარო და ვადები

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს **სსიპ შემოქმედებით საქართველოსა და ისთ ანგლიას უნივერსიტეტის (UEA) შორის 2018 წლის 05 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება №O207237**, (გრანტი №1722).
6.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტის (საქონლის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა და სხვა) გაფორმების შემდეგ **10 სამუშაო დღის ვადაში.**

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 ხელშეკრულების **ინსპექტირებას** შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს, შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის კოორდინატორი - **თინათინ ბაღაშვილი.**

7.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხთან, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო და საქართველოში არსებულ ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი.

7.5 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ფორმით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.6 იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად დადგინდება მიწოდებული საქონლის ხარისხის შეუსაბამობა ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობებთან, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი გონივრულობის ფარგლების გათვალისწინებით უმოკლეს ვადაში.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ, ჯეროვან ან სრულად

შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

8.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობის არსებობით.

9.2 ფორს–მაჟორულ მდგომარეობად ითვლება წინასწარ განუსაზღვრელი ნებისმიერი გარემოების არსებობა, რომელიც მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო წარმოადგენს დაუძლეველ ძალას (სტიქიური უბედურება, საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემია, კარანტინი და სხვა) და შეუძლებელს ხდის მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 10 აპრილის** ჩათვლით.

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1. შესყიდვის ობიექტის გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმებით.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეებს შორის ყველა დავა და უთანხმოება, წარმოქმნილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. დასკვნითი დებულებები.

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

13.3 შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და იგი წარმოადგეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

13.5 ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით და ეხება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არსებულ ურთიერთობას, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ შემოქმედებითი საქართველო
მის: ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქ. კორპ №28
ტელ: 591 093946
ს/კ 204583842
სახელმწიფო ხაზინა

მიმწოდებელი:

შპს „კონტური“
მის: ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ.8
ს/კ : 202241751
ტელ: 577 740499
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE06 TB78 9543 6020 1000 01

დირექტორი:

ანა რიაბოშენკო

LEPL CREATIVE GEORGIA
Digitally signed by LEPL CREATIVE GEORGIA
Date: 2019.02.20 13:49:11 +04'00'

დირექტორი:

ელინა კოსირატი